ამოცანა # 1/1
საშემოსავლო გადასახადი

შ.პ.ს. "**ACCA-სანიმუშო**" - ახორციელებს სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საგადასახადო აღრიცხვაზე დგას 2017 წლის 1 მარტიდან, საიდენტიფიკაციო კოდი #404500328, იურიდიული მისამართი - თბილისი, ბაქრაძის ქ. # 8.

ნაწილი I. ხელფასის გაანგარიშება
საწარმოს დაქირავებულ პირთა დარიცხული ხელფასი და სხვა სარგებელი გაცემულია 202X წლის 28 თებერვალს. ამასთან, საზოგადოების დაქირავებულთა სია და ყოველთვიური დარიცხული სახელფასო სარგო მოცემულია „ხელფასის დარიცხვის უწყისში" დანართის სახით. დარიცხვის უწყისში მოცემულია „ბრუტო-თანხები".

ახსნის ალგორითმის უფრო უკეთ გაგებისთვის სანიმუშო ამოცანაში დამატებით მოყვანილია სხვა შემოსავლების განსაზღვრის და დაკავების დამხმარე ცხრილი. საგამოცდო ამოცანაში ასეთი ცხრილის შევსება არ მოითხოვება.

მონაცემები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავლის განსაზღვრისათვის:

გაითვალისწინეთ, რომ:
1. ე. ლომიძე, ი.დვალი და ლ. ნანსყანი არ არიან საპენსიო სქემის მონაწილეები.
2. ზ. ბუჩუკური მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი **2,600** ლარის ოდენობით.
3. ი. დვალი მარტოხელა დედაა. წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი **4,000** ლარის ოდენობით.
4. კ. გოგავა ცხოვრობს და მუშაობს დაბა მესტიაში (მაღალმთიანი დასახლება) გზის მშენებლობაზე.
წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი **2,100** ლარის ოდენობით.
5. **ლ. ნანსყანი** ცხოვრობს და მუშაობს დაბა ხულოში (მაღალმთიანი დასახლება) გზის მშენებლობაზე.
წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი **5,100** ლარის ოდენობით.
6. თ. ჩადუნელი 1 თებერვალს იშვილა ბავშვი. წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი **1,000** ლარის ოდენობით.
7. საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობები შეღავათის შესახებ წარდგენილია საწარმოს ბუღალტერიაში.

წინაპირობები:
1. მონაცემები საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალის განსაზღვრისათვის:

ჩამოთვლილი ოპერაციის მიხედვით განსაზღვრეთ დაქირავებულებოს მიერ მიღებული სარგებელი და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში და ხელფასის დარიცხვის უწყისში

1.1. საწარმოს დირექტორის ბრძანებით, თანამშრომლებს - **თ. ჟღენტს, ზ. ბუჩუკურს, ნ. შადურს და კ. გოგავას** დაერიცხათ სამუშაოს მაღალკვალიფიციური შესრულებისთვის სახელფასო

დანამატი ბრუტო-თანხით **300** ლარის ოდენობით, ხოლო **ე. ლომიძეს, ი. დვალს და ლ. ნანსყანს** გაეცა პრემია ნეტო თანხით **400** ლარის ოდენობით.
შენიშვნა:
დანამატის თანხა გაცემულია ხელფასთან ერთად – **28 თებერვალს,** ხოლო პრემია გაცემულია **5 თებერვალს.**

1.2. 14 თებერვალს (შრომის კოდექსის შესაბამისად არის უქმე დღე) საწარმოს ყველა თანამშრომელი მუშაობდა. დირექტორის გადაწყვეტილებით ყველა თანამშრომელს აუნაზღაურდა ზეგანაკვეთური სამუშაო, რისთვისაც თითოეული მათგანისთვის (გარდა თ. ჩადუნელისა, რომელიც იმყოფება შვებულებაში ბავშვის აყვანის გამო) გამოიყო ბრუტო-თანხა **180** ლარის ოდენობით, რომელიც გაიცა ხელფასთან ერთად - წლის 28 თებერვალს.

1.3. საწარმოს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე 28 თებერვალს ლ. ნანსყანს ჩამოეწერა წინა წლის 1 მარტს გაცემული 1 წლიანი სესხი **2 000** ლარის ოდენობით და თებერვლის თვის დარიცხული პროცენტი. ხელშეკრულების თანახმად სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 10%-ს.
იმავე ბრძანებით ლ. ნანსყანის სარგებლად ჩაითვალა აგრეთვე ვალის პატიების თანხაზე ბიუჯატში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი.

1.4. საწარმომ 1 თებერვალს თ ჟღენტს უპროცენტოდ ასესხა **100'000** ლარი 2 წლის ვადით. სრული თანხის დაბრუნება მოხდება სასესხო პერიოდის ბოლოს (2022 წლის 1 თებერვალს).

1.5. 21 თებერვალს, საქართველოს პირველი კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით საწარმოს ყველა თანამშრომელს საჩუქრის სახით გადაეცა საჩუქარი -1 ცალი გასაღების ბეჭედი (ბრელოკი). ბრელოკის ღირებულება საბაზრო ფასით შეადგენს **10** ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

1.6. საწარმოს ბრძანებით **თ. ჟღენტი 5**-დან **24** თებერვლის ჩათვლით იმყოფებოდა მივლინებაში ზემო სვანეთში - დაბა მესტიაში. წარმოდგენილი საავანსო ანგარიშის მიხედვით მას მივლინების დროს გაწეული აქვს შემდეგი ხარჯები:

- მგზავრობა ტაქსით თბილისიდან აეროპორტ ნატახტრამდე - **30** ლარი,
- თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულება მარშრუტით ნატახტარი-მესტია **65** ლარი, მიკროავტობუსით მგზავრობა მარშრუტით მესტია - თბილისი - **35** ლარი,
- მესტიაში სასტუმროში განთავსების ხარჯი **1 000** ლარი,
- შემოწირულობა - ცნობილი ალპინისტის მიხეილ ხერგიანის მესტიის სახლ-მუზეუმს, **500** ლარი.

შენიშვნა:

1. თ. ჟღენტს წარმოდგენილი აქვს თვითმფრინავით და მიკროავტობუსით მგზავრობის და სასტუმროში განთავსების ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.
2. მივლინებაში წასვლის დღეს თ. ჟღენტს მიღებული აქვს მივლინების ხარჯების ავანსი **1 500** ლარი.
3. დირექტორის გადაწყვეტილებით მივლინების ზენორმატიული ხარჯი აღიარებულია ბრუტო ხელფასის სახით გაცემულ თანხად. თანხა გაეცა ხელფასთან ერთად.

1.7. **ი. დვალი 14 თებერვლიდან 28 თებერვლის** ჩათვლით იმყოფებოდა მივლინებაში აჭარაში, დაბა ხულოში. წარმოდგენილი საავანსო ანგარიშის მიხედვით მას მივლინების დროს გაწეული აქვს შემდეგი ხარჯები:

მგზავრობა მატარებლით მარშრუტით თბილისი-ბათუმი (ბილეთის ფასი I კლასი - **61** ლარი, II კლასი – **25** ლარი),

- ადგილის არჩევის ღირებულება -**1** ლარი,
- მგზავრობა სამარშრუტო ტაქსით ბათუმი – ხულო **5** ლარი,

- ხულოში სასტუმროში განთავსების ხარჯი **1008** ლარი,
- მგზავრობა ტაქსით მარშრუტით ხულო-თბილისი **100** ლარი.

შენიშვნა: საავანსო ანგარიშის მიხედვით ი. დვალს წარმოდგენილი აქვს ელექტრო მატარებელში მგზავრობის I კლასის ბილეთი, ადგილის არჩევის საფასურისა და სასტუმროში განთავსების ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დირექტორის გადაწყვეტილებით მივლინების ზენორმატიული ხარჯი აღიარებულია ხელფასის სახით გაცემულ შემოსავლად (ნეტო-თანხით). თანხა გაეცა ხელფასთან ერთად.

1.8 ე.ლომიძე 2021 წლის თებერვალში 10 დღით წავიდა მივლინებაში პორტუგალიაში. წარმოდგენილი საავანსო ანგარიშის მიხედვით მას მივლინების დროს გაწეული აქვს შემდეგი ხარჯები: თვითმფრინავის ბიზნეს კლასით მგზავრობის ღირებულება **€1,550** (ეკონომკლასის ავიაბილეთის ღირებულება – **€1,180**), სადღეღამისო ხარჯები (ფაქტიური დანახარჯები) – **€714**, სასტუმროს ქირის ხარჯები (სასტუმროს ანგარიშის თანახმად ნომერი დაკავებული იყო 9 დღეღამის განმავლობაში) – **€2,100.**

საწარმოს დირექტორის ბრძანებით, ე. ლომიძეს 10 თებერვალს ავანსის სახით კონვერტაციისთვის გაეცა „ნეტო-თანხა“ **15 000** ლარი. დაბრუნებისას ე. ლომიძემ სალაროში დააბრუნა **5 000** ლარი.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით პორტუგალიაში სადღეღამისო ხარჯები ერთ დღეღამეში შეადგენს - **€34**, ხოლო ბინის ქირის/სასტუმროს ხარჯი – **€127.**

საავანსო ანგარიშის წარდგენის დღისათვის ლარის გაცვლითი კურსი ევროს მიმართ უდრიდა 3.5.

1.9. საწარმოს დირექტორის ბრძანებით ყველა დაქირავებულ თანამშრომელს გაეცა **20 სამუშაო დღის** კომპლექსური სადილი, გარდა თ. ჟღენტისა, დვალის და ჩადუნელისა, რომლებსაც სადილით არ უსარგებლია და ე. ლომიძისა, რომელს სადილი გაეცა **6** სამუშაო დღის განმავლობაში პორტუგალიაში მივლინებაში ყოფნის გამო. (სადილის თვითღირებულება – **4** ლარი, საბაზრო ღირებულება – **5** ლარი).

1.10. 1 თებერვალს სადაზღვევო კომპანიაში გადარიხცულია **კ. გოგავა** სახელით შესრულებული სადაზღვევო შენატანი - **130** ლარი (ნეტო თანხა). აქედან შრომითი ხელშეკრულების თანახმად **60** ლარს იხდის საწარმო, ხოლო **70** ლარი დაკავებულია **კ.გოგავას** ხელფასიდან.

1.11. დირექტორის ბრძანებით **15 თებერვალს** გადარიცხულია კომერციულ სასწავლებელში **200** ლარი (ნეტო თანხა) – **ე .ლომიძეს** შვილის სწავლის ღირებულება. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ გარდა გადარიცხული თანხისა საწარმო დამატებით გამოყოფს შესაბამის თანხას საშემოსავლო გადასახადს დაფარვისათვის.

1.12. თანამშრომლის თხოვნით 23 თებერვალს ხელფასიდან დაკავებულია და გადარიცხულია კომერციულ სასწავლებელში **500** ლარი – **მ. შადურის** შვილის სწავლის ღირებულება.

1.13. საწარმოს დირექტორის ბრძანებით ყველა დაქირავებულ პირს გაუფორმდა 3 დღიანი დასვენების ტური დაბა გუდაურში. ტურის ღირებულებაა **შეადგენს** დღეში **100** ლარს, აქედან 2 დღის ტურის ღირებულებას იხდის საწარმო (საშემოსავლო გადასახადის დამატებითი გადახდით), ხოლო 1 დღის ღირებულება დაუკავდება დაქირავებული პირის ხელფასიდან.

1.14. 16 **თებერვალს ზ. ბუჩუკურს** სესხი გაეცა **10 000** ლარი. ხელშეკრულების თანახმად სესხი გაცემულია 1 წლის ვადით **12%-**ანი წლიური განაკვეთით. (თებერვალში 28 დღეა).

1.15. საწარმოს დირექტორის ბრძანებით **29 თებერვალს** საგადასახადო ორგანოში არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს პეტრე მაჩაბელს გადაერიცხა საცხოვრებელი ფართის გაქირავების თებერვლის თვის კუთვნილი თანხა. ქირავნობის ყოველთვიური სახელშეკრულებო თანხა უდრის **1500** ლარს (ბრუტო-თანხა). თანხა გადარიცხულია **ნ. შადურთან** დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით საწარმო ვალდებულია დაქირავებულს - **ნ. შადურს** დაბა მცხეთაში სარგებლობაში გადასცეს საცხოვრებლად ფართი (ოპერაციით განსაზღვრეთ დაქირავებულის - **ნ. შადურს** სარგებელი).

1.16. **თ. ჩადუნელი** 1 თებერვალს იშვილა ბავშვი. დირექტორის ბრძანებით მას 5 თებერვლიდან უფორმდება შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო. გარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კუთვნილი დახმარებისა 28 თებერვალს თ. ჩადუნელს დირექტორის ბრძანებით საწარმოს ბიუჯეტიდან დამატებით აუნაზღაურდა შვებულებების თანხა **1 000** ლარი (ბრუტო თანხა).

1.17. 28 თებერვალს დირექტორის ბრძანებით **ი. დვალს** ავანსად გაეცა 3 თვის (მარტი, აპრილი, მაისი) ხელფასი ნეტო თანხით **4 080** ლარი.

1.18. აღსრულების ბიუროს დავალებით **ე. ლომიძეს** დაუკავდა ალიმენტი ხელზე მისაღები თანხის (დარიცხული სარგებელი მინუს დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი) 1/4-ის ოდენობით.

განსაზღვრეთ დარიცხული ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ოდენობა, დაკავებების სიდიდე, ხელზე მისაღები თანხა, გაანგარიშებები განახორციელეთ სამუშაო რვეულში და შესაბამისი მონაცემები გადაიტანეთ ხელფასის დარიცხვის უწყისში.

საწარმოს ბალანსზე ერიცხება 2018 წელს გამოშვებული მსუბუქი ავტომობილი "**Volvo XC60"** სახელმწიფო ნომერი AA 205 BB**,** რომლის საბალანსო ღირებულებაა 180 000 ლარი და ძრავის მოცულობა **3 200** კუბ. სმ. ავტომობილი გამოიყენება საწარმოს დანიშნულებით, აგრეთვე ბრძანებით პირადი სარგებლობისათვის ავტომობილს იყენებენ საწარმოს დირექტორი - თ. ჟღენტი (პ/ნ 01029003699), და მენეჯერი - კ.გოგავა (პ/ნ 01030005555).

განსაზღვრეთ საშემოსავლო გადასახადის სიდიდე და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციის დანართში და დეკლარაციაში.

1.19. საწარმოს ბალანსზე ერიცხება 2020 წელს გამოშვებული ჰუბრიდული მსუბუქი ავტომობილი " Toyota Prius" სახელმწიფო ნომერი AA 205 BB**,** რომლის საბალანსო ღირებულებაა 250 000 ლარი და ძრავის მოცულობა **1 797** კუბ. სმ. ავტომობილი გამოიყენება საწარმოს დანიშნულებით, აგრეთვე ბრძანებით პირადი სარგებლობისათვის ავტომობილს იყენებენ საწარმოს საქმის მწარმოებელი - ე.ლომიძე (პ/ნ 01029005444)

განსაზღვრეთ საშემოსავლო გადასახადის სიდიდე და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციის დანართში და დეკლარაციაში.

ნაწილი II. სხვა განაცემები და ინფორმაცია

განსაზღვრეთ ქვემოთ მოცემული თითოეული ოპერაციის შედეგად საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, პასუხის გაანგარიშებისთვის გამოიყენეთ სამუშაო რვეული და შედეგი ჩაწერეთ დეკლარაციის შესაბამის უჯრაში და სვეტში.

2. სხვა ოპერაციები:

2.1 საზოგადოებას თებერვალში განაწილებული და გადარიცხული აქვს დივიდენდები (ბრუტო-თანხით):

- ✓ რეზიდენტ ფიზიკურ პირზე **- 10 000 ლარი;**
- ✓ არარეზიდენტი, შეღავათიანი დაბეგვრის სახელმწიფოში (პანამა) რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე - **10 000** ლარი;
- ✓ შ.პ.ს. „ თბილისის გართობა"-ზე **- 50 000** ლარი;
- ✓ შეღავათიანი დაბეგვრის სახელმწიფოში (ლიბანი) რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე **30 000** ლარი.
- ✓ ა.ა.ი.პ. „აგროსერვის ცენტრი" – **20 000** ლარი.

2.2. საზოგადოებას თებერვალში გადარიცხული აქვს პროცენტები (ბრუტო-თანხით):

- ➢ საქართველოს ბანკს - **3 500** ლარი;
- ➢ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას „ცენტრალ"-ს **1 000** ლარი;
- ➢ თურქეთის ს/ს „ასფარმა"-ს ფილიალი (მუდმივი დაწესებულება) საქართველოში **15 000** ლარი;
- ➢ არარეზიდენტი, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ლიბანი) რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს - **2 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში);
- ➢ არარეზიდენტს, ავსტრიის რესპუბლიკის მოქალაქეს - **25 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში).

შენიშვნა: საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების თანახმად **ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი იბეგრება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში, თუ ეს რეზიდენტი წარმოადგენს პროცენტის ბენეფიციალურ მფლობელს.** ცნობა რეზიდენტობის შესახებ წარდგენილია საწარმოში;

- ➢ არარეზიდენტი, რუსეთის ბანკს **„აგორა"-ს 12 000** ლარი (ეკვივალენტი რუსეთის რუბლში);

- ➢ საქართველოს რეზიდენტს, საწარმოს დამფუძნებელს - ჩიორა მხეიძეს დაუბრუნდა 6-თვიანი სესხის ძირითადი თანხა **10 000** ლარი და დარიცხული პროცენტის თანხა (წლიური 12 %-იანიგანაკვეთი) - **600** ლარი.

2.3. საზოგადოებას თებერვალში გადარიცხული აქვს როიალტი (ბრუტო-თანხა):

- ➢ საქართველოს იურიდიულ პირს -5 **500** ლარი;
- ➢ საგადასახადო ორგანოში არარეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს -**1 000** ლარი;
- ➢ ს/ს „ასფარმა"-ს ფილიალს (მუდმივი დაწესებულება) საქართველოში **5 000** ლარი;
- ➢ არარეზიდენტი, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (აშშ ვირჯინიის კუნძულები) რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს - **4 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში);
- ➢ არარეზიდენტი, იტალიის რესპუბლიკის მოქალაქეს - **20 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში).

შენიშვნა: იტალიის რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ კონვენციის თანახმად **ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალთი გადასახადს დაექვემდებარება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში, თუ რეზიდენტი წარმოადგენს როიალთის ბენეფიციალურ მფლობელს.** ცნობა რეზიდენტობის შესახებ წარდგენილია საწარმოში;

➢ არარეზიდენტი, **რუსეთის იურიდიულ პირს -** 10 **000** ლარი (ეკვივალენტი რუსეთის რუბლში);

2.4 10 თებერვალს არარეზიდენტი – შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (კაიმანის კუნძულები) რეგისტრირებულ მოქალაქეს **ჯონ მარიუსს** ხელშეკრულების თანახმად საერთაშორისო გადაზიდვისათვის დაერიცხა ბრუტი თანხა **5 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში), რომელიც დაიბეგრა გადასახადის წყაროსთან და შესაბამისი თანხა გადაერიცხა უცხოეთის ბანკში.
2.5. 18 თებერვალს არარეზიდენტს – შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ლუქსემბურგი) რეგისტრირებულ სატრანსპორტო კომპანიას „**UST LTD"** ხელშეკრულების თანახმად საერთაშორისო გადაზიდვისათვის გადაერიცხა ნეტო თანხა **15 000** ლარი (ეკვივალენტი ევროში). ცნობა რეზიდენტობის შესახებ არ არის წარდგენილი.

2.6. სანარდო ხელშეკრულების საფუძველზე საფრანგეთის რეზიდენტ საწარმოს **"ფრანსუა მორენო"-ს** "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საკონსულტაციო მომსახურების გაწევისათვის დაერიცხა ბრუტო თანხა **8 500** ლარი (ეკვივალენტი ევროში). კუთვნილი თანხა ფირმას გადაერიცხა **3 თებერვალს.**

2.7. 23 თებერვალს არარეზიდენტი – უნგრეთის ფირმა "ბოლერო"-ს გადაერიცხა აღებული 10%-ანი სესხის ძირის თანხა **150 000** ლარი და კუთვნილი პროცენტი. ხელშეკრულების თანახმად პროცენტის (ბრუტო) თანხა შეადგენს **15 000** ლარს. საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის დადებულია ხალშეკრულება ორმაგი დაბეგვრიs თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ, რომლის თანახმად პროცენტის თანხა დაიბეგრება მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელსაც წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი. ცნობა უნგრეთის რეზიდენტობის შესახებ ფირმის მიერ წარდგენილია საზოგადოებაში.

2.8. **12 თებერვალს** არარეზიდენტ ფრანგულ საწარმოს, **„ყარფუზ პროჟექტს"** დაერიცხა საერთაშორისო გადაზიდვის სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურება **11'000** ლარის (ბრუტო თანხა) ოდენობით. შესაბამისი თანხა გადაირიცხა **15 მარტს.**

2.9. 12 თებერვალს, იტალიის საწარმოს "**ერნესტო კამარონე"-ს** გადაერიცხა ელექტრო შემდუღებლების სპეციალისტების ტრენინგის ჩატარების კუთვნილი თანხა, რომელიც დაიბეგრა გადასახადის წყაროსთან. ხელშეკრულების თანახმად სამუშაოს ღირებულება შეადგენს **10 000** ლარს (ნეტო თანხას);

2.10. საზოგადოებას თებერვალში შემდეგმა ფიზიკურმა პირებმა გაუწიეს სხვადასხვა მომსახურება **(პირები არ არიან საპენსიო სქემის მონაწილეები):**

➢ **პეტრე გიგანმა** - დაბა მესტიაში (მაღალმთიანი რეგიონი) საცხოვრებელი მიზნით გააქირავა საცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულების თანახმად ქირის ღირებულება, „ნეტო-თანხა" შეადგენს **950** ლარს. ხელშეკრულება რეგისტრირებულია და შეტანილია საგადასახადო ორგანოს საცხოვრებელი ფართების გამქირავებელ პირთა რეესტრში. 202X წლის 27 თებერვალს ფიზიკურ პირს აუნაზღაურდა ქირის კუთვნილი თანხა;

➢ საწარმოს დირექტორის ბრძანებით **28 თებერვალს** საგადასახადო ორგანოში არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს **პეტრე მაჩაბელს** გადაერიცხა საცხოვრებელი ფართის გაქირავების თებერვლის თვის კუთვნილი თანხა. ქირავნობის ყოველთვიური სახელშეკრულებო ბრუტო თანხა უდრის **1500** ლარს. თანხა გადარიცხულია დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით საწარმო ვალდებულია

დაქირავებულს - **ნ. შადურს** დაბა გუდაურში სარგებლობაში გადასცეს საცხოვრებლად ფართი (ოპერაციით განსაზღვრეთ გამქირავებლის - **პ. მაჩაბელის** სარგებელი);

➢ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა **მზია მეტრეველმა,** რომელსაც სტატუსი მინიჭებული აქვს საკონდიტრო საქმიანობაში - დაბა ფასანაურში საცხოვრებელი მიზნით 1 თვის ვადით 1 თებერვლიდან გააქირავა საცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულების თანახმად ქირის ღირებულება (ბრუტო-თანხა) შეადგენს **1 000** ლარს. 202X წლის 7 მარტს ფიზიკურ პირს აუნაზღაურდა ქირის კუთვნილი თანხა;

➢ ინდ. მეწარმე **ნინო მონიავა** - სოფელ ტაბახმელაში საცხოვრებელი მიზნით 2 თვის ვადით გააქირავა საცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულების თანახმად ქირის ღირებულება, „ბრუტო-თანხა“ თვეში შეადგენს **1 000** ლარს. 202X წლის 27 თებერვალს ინდ/მეწარმეს აუნაზღაურდა 2 თვის ქირის კუთვნილი თანხა;

➢ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირს - **მაყვალა თუშიშვილს** 10 თებერვალს გადაუხადეს სპეცტანსაცმლის რემონტისათვის 500 ლარი (ბრუტო თანხა);

➢ 20 თებერვალს დაბა მესტიაში (მაღალმთიანი დასახლება) მუდმივად მცხოვრებმა, საგადასახადო ორგანოში არა რეგისტრირებულმა ფიზიკურმა პირმა **თამაზ შამფრიანმა** სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისათვის მიიღო სულ „ნეტო-თანხა“ **2 400** ლარის ოდენობით;

➢ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს - **ილია კალანდიას** (სტატუსი მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანაში, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით), სალაროდან გაეცა სამშენებლო მასალის ობიექტზე ტრანსპორტირების ღირებულება (ნეტო-თანხა), **1 500** ლარის ოდენობით. კუთვნილი თანხა დაიბეგრა გადახდის წყაროსთან და ფიზიკურ პირს გაეცა **2020 წლის 22 თებერვალს.**

2.11 საზოგადოებას თებერვალში შემდეგმა ფიზიკურმა პირებმა გაუწიეს სხვადასხვა მომსახურება **(პირები არიან საპენსიო სქემის მონაწილეები):**

➢ 9 თებერვალს ინდ. მეწარმეებად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს - **თ. კალანდაძეს** გადაურიცხეს კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის საინსტალაციო სამუშაოს ანაზღაურების ნეტო თანხა -**700** ლარი;

➢ თებერვლის თვეში 29 წლის ფიზიკური პირი **გივი წიკლაურის** მიერ შესრულებული სარემონტო მომსახურების ღირებულების ნეტო-თანხა შეადგენს **2 300** ლარს. კუთვნილი დაკავებები (ანარიცხი საპენსიო ფონდში და საშემოსავლო გადასახადი) დაკავებულია და მომსახურების ღირებულება გადახდილია ამავე თვეში.

2.12 25 თებერვალს საწარმოში არამომუშავე მოქალაქეს - **ფ. გელბახიანს** სალაროდან გაეცა უნივერსიტეტში სწავლისათვის **500** ლარი (ნეტო თანხა). სხვა თანხები ამ პირს საანგარიშო წელს არ გაცემულია;

➢ 15 თებერვალს საწარმოში არამომუშავე მოქალაქეს უნივერსიტეტის მაგისტრს - **გ. გინტურს** გაეცა საწარმოს მიერ დაწესებული სტიპენდია 1 **500** ლარი (ბრუტო თანხა);

➢ 1 თებერვალს საქართველოს მოქალაქემ, **მალხაზ ლაშხი** მიიღო მკურნალობისათვის საჭირო საქველმოქმედო თანხა – **1 700** ლარი (**ბრუტო თანხა**);

➢ **18 თებერვალს** საწარმოში არამომუშავე საქართველოს მოქალაქეს - **მალხაზ ფერხული** გაეცა დახმარება საზღვარგარეთ სწავლებისათვის **1 000** ლარის ოდენობით (ნეტო თანხა).

2.13 1 თებერვალს საქართველოს მოქალაქეს, იძულებით გადაადგილებულ არამეწარმე ფიზიკურ პირს – **მორის სანაკოევს** უსასყიდლოდ გადაეცა მინი ტრაქტორი საბაზრო ღირებულებით **700** ლარი და **250** ღირებულების მეორადი სამშენებლო მასალა;

- 10 იანვარს საქართველოს მოქალაქეს - **მალხაზ ფიფიას** უსასყიდლოთ გადაეცა **700** ლარის ღირებულების ტელევიზორი, ხოლო 28 თებერვალს **1 100** ლარის მეორადი სამშენებლო მასალა. ჯამში საანგარიშო პერიოდისთვის **მალხაზ ფიფია** უსასყიდლოდ მიიღო საბაზრო ღირებულებით **1800** ლარის სხვადასხვა ქონება.

2.14 28 თებერვალს საწარმომ საქართველოს მოქალაქეს - **ვანო იაშვილს** გადაურიცხა 5 **500** ლარი ნეტო-თანხა, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებით ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის თანხას.

ნაწილი III.ინფორმაციის განყოფილების შევსება

3.1. 2021 წლის თებერვალში შესრულებული სამშენებლო და სხვა მომსახურების მოცულობამ შეადგინა **1,285,000** ლარი, ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებულმა ბრუნვამ **183,000** ლარი, აქედან საკონტროლო - სალარო აპარატის გამოყენებით **102,000** ლარი. ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის სალაროში შეადგენს **22,225** ლარს, ორი ანგარიშვალდებული პირების მიერ თვის ბოლოსათვის დაუბრუნებელი საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა **110,500** ლარი. თებერვალში საგადასახადო ორგანოს მიერ საწარმოში ჩატარდა ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა სმფ–ის დანაკლისი **50,000** ლარის ოდენობის, ხოლო ზედმეტობა **65,000** ლარის ოდენობის.

3.2. განსაზღვრეთ თვის განმავლობაში გაცემული მინიმალური და მაქსიმალური ხელფასის სიდიდე და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში.

- **გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში.**